ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 428

"22" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასყვანად, დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე, ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზარდოს 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისზღვროს შესაბამისი პროპორციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №421 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე